ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1518917

ნომერი: AR1253496

თარიღი : 26.09.2014

გაცემის თარიღი : 01.10.2014

გაცნობის თარიღი : 01.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , (ნაკვ. 12/004) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯიქია პ/ნ 01006013220
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 26 ბ. 36

ორგანიზაცია:

- შპს წალკა 91 კოდი: 243119718

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო ობიექტი (ფარდული) სცდება I კლასის მახასიათებლებს (ფოტომონტაჟის მიხედვით შენობის მოშენების ფართი გარე კონტურში შეადგენს 102.6 კვ.მ–ს. სიმაღლე კი 5.5მ–ს. გაითვალისწინეთ: I კლასის მახასიათებელია: 60 კვ.მ-მდე იატაკების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა/ნაგებობა, ხოლო მალი არ უნდა აღემატებოდეს 7,0 მეტრს) და იგი თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება ისეთი კლასის მშენებლობას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად. ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები, რისთვისაც საკითხი უნდა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით, ამისათვის კი უნდა აირჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები" - "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა" და მოცემული ველები შეავსოთ შესაბამისად ან საპროექტო ფარდული მოიყვანოთ I კლასის მახასიათებლებთან შესაბამისობაში.

გარდა ამისა, მეტი თვალსაჩინოებისათვის "ფაილის მიმაგრება" ველში ატვირთეთ საკადასტრო გეგმა, სადაც დატანილი იქნება საპროექტო ობიექტი ყველა ზომის მითითებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი, სადაც საპროექტო ობიექტი იქნება I კლასის მახასიათებლების მქონე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.